შპს „კარგო პარსელი“ LTD „Cargo Parsel“

№ 01-03/01-20 ,, 11,, 02 2020წ.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის
მეურნეობის მინისტრს ბატონ ლევან დავითაშვილს

სკრინიგის განაცხადი

გაცნობებთ, რომ თქვენი 2020 წლის 8 იანვრის N 189/01 და 2020 წლის 7 თებერვლის N1511/01 წერილებით გადმოგზავნილი შენიშვნების გათვალისწინებით შევიტანეთ სათანადო ცვლილებები და დამატებები ჩვენს მიერ 2019 წლის 16 დეკემბერს და 2020 წლის 27 იანვარს წარმოდგენილ სკრინინგის ანგარიშის ვერსიებში.

სკრინინგის ანგარიში შეეხება შპს ,,კარგო პარსელის“ (ს/კ 405341 063) მიერ დაგეგმილ საქმიანობას - შპს ,,ბათუმის ნავთობტერმინალისგან“ შეძენილ ყოფილი საწარმოო უბნის - ნავთისა და ბენზინის გადატვირთვის სადგურის (ნავთის უბნის) ტერიტორიაზე 33 500 მ² ფართობის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე ღია სასაწყობო მეურნეობის (საბაჟო საწყობი) მოწყობას, რომელიც დროებით გამოყენებული იქნება ბიგ-ბეგებში დაფასოებული კარბამიდის დასასაწყობებლად. სასაწყობო მეურნეობის ძირითადი საქმიანობა იქნება ფოლადის ნაკეთობების (მილები, არმატურა და ა.შ) და ხის მასალის (ევრო პალეტები (ზომები 1,2 მ / 0,8 მ), დროებითი დასაწყობება.

ავღნიშნავთ, რომ კარბამიდის ტვირთბრუნვა სასაწყობო მეურნეობაში სავარაუდოდ გაგრძელდება ბათუმის საზღვაო ნავსადგურში მშენებარე სპეციალური ტერმინალის ექსპლუატაციაში შესვლამდე, ანუ მაქსიმუმ 1 წელი, ხოლო კარბამიდისთვის გამოყოფილი საცავის ჯამური მოცულობა ნაკლები იქნება და არ გადააჭარბებს 950 მ3-ის.

შესაბამისად, ჩვენს მიერ დაგეგმილი საქმიანობა, შეესაბამება ,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ II დანართის 6.3. პუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობას ,, ნავთობისა და ნავთობპროდუქტის, ნავთობქიმიური ან/და ქიმიური პროდუქტის საცავის მოწყობა და ექსპლუატაცია“ და კოდექსის მე-7 მუხლის თანახმად ექვემდებარება სკრინინგის პროცედურას.

სკრინინგის ანგარიშში შეტანილია შემდეგი დამატებები, განმარტებები და ცვლილებები:

- საპროექტო ტერიტორიის 2009 წლის 30 იანვრის N12 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით განსაზღვრუ სანებართვო სტატუსთან დაკავშირებით, სკრინინგის ანგარიშის დანართის სახით, წარმოდგენილია შპს ,,ბათუმის ნავთობტერმინალის“ შესაბამისი წერილობითი განმარტება.
- საპროექტო ტერიტორიაზე არსებული ინფრასტრუქტურით სარგებლობის პასუხისმგებლობებთან დაკავშირებით, სკრინინგის ანგარიშის დანართის სახით,

№ 2410
"13" 02 2020
2/2 ფ.
03

მის.: წყნეთის გზატკეცილი 2, ბინა N10 მობ.: 5 99 113 115

წარმოდგენილია შპს ,,კარგო პარსელსა“ და შპს ,,ბათუმის ნავთობტერმინალს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულების ასლი.

- სასაწყობო მეურნეობაში შემოტანილი კარბამიდის დასაწყობების ვადა არ გადააჭარბებს 1 თვეს.
- შესწორდა 4.1.3. ცხრილში გაპარული შეცდომა.
- წარმოდგენილია შპს ,,კარგო პარსელის“ დირექტორის მიერ დადასტურებული ცნობა, რომ კარბამიიდისთვის გამოყოფილი საცავის ჯამური მოცულობა არ გადააჭარბებს 950 მ3-ს.
- დაზუსტებულია კარბამიდის მიღების სრული ტექნოლოგიური სქემა, რომლის თანახმად, კარბამიდი შემოტანილი იქნება აზერბაიჯანიდან.

კვლავ წარმოგიდგენთ სკრინინგის ანგარიშის შესწორებულ ვერსიას და შესაბამის სკრინინგის განაცხადს, რომელიც მომზადებულია გარემოსდაცვითი კოდექსის მე-7 მუხლის 3.4.-ის გათვალისწინებით.

გთხოვთ განიხილოთ და მიიღოთ შესაბამისი გადაწყვეტილება.

დანართი:

1. *შპს ,კარგო პარსელის“ მიერ, ქ. ბათუმში, შპს ,,ბათუმის ნავთობტერმინალის“ ყოფილი საწარმოო უბნის - ნავთისა და ბენზინის გადატვირთვის სადგურის (ნავთის უბნის) ტერიტორიაზე ღია სასაწყობო მეურნეობის მოწყობის და ექსპლუატაციის პროექტის სკრინინგის ანგარიში - ნაბეჭდი ვერსია (1 ეკზემპლარი);*
2. *ამონაწერი საჯარო რეესტრიდან შპს ,,კარგო პარსელის“ რეგისტრაციის თაობაზე.*
3. *საპროექტო ღია სასაწყობო მეურნეობის განთავსების ადგილის გეოგრაფიული კოორდინატები Shp სისტემაში.*
4. *დოკუმენტაციის ელექტრონული ვერსია (SD დისკზე).*

პატივისცემით,

იოსებ პატარაია

დირექტორი

შპს „კარგო პარსელი“ 405341063 CARGO PARCEL LLC